


ბეჭდის ზომის განსაზღვრა
ყელსაბამის ზომის განსაზღვრა
ძვირფასი ლითონები
დაფარვის მეთოდები
როგორ შევინახოთ სამკაულები
როგორ გავწმინდოთ სამკაულები



როგორ განსაზღვროთ თქვენი ბეჭდის ზომა :

- შემოიხვეთ თითზე წვრილი ქაღალდის ლენტი
- მონიშნეთ ქაღალდის ლენტი თითის ზომაზე
- გაზომეთ მონიშნული ქაღალდის ლენტი, რომ გაარკვიოთ თქვენი თითის გარშემოწერილობის სიგრძე
- გაყავით მიღებული ციფრი 3.14 - ზე, რომ გაიგოთ დიამეტრი
- მოძებნეთ თქვენი ბეჭდის ზომა დიაგრამაზე

როგორ განსაზღვროთ ყელსაბამის ზომა :

1 inch = 2.54 cm

- 16 inch = 41 cm
- 18 inch = 46 cm
- 20 inch = 51 cm
- 22 inch = 56 cm
- 24 inch = 61 cm
- 30 inch = 76 cm
- 36 inch = 91 cm



ლითონების ისტორია საიუველირო საქმიანობაში

ლითონებსაც ჩვენი ცივილიზაციისავით უძველესი, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. უკვე ჩვ. წ. აღ. 6 000 წლის წინ დედამიწის უძველესი ერები: მესოპოტამიელები, ბერძნები, ეგვიპტელები, რომაელები იყენებდნენ ლითონებს სხვადასხვა დანიშნულებისათვის, მათ შორის საიუველირო საქმეშიც. ახალი ლითონების აღმოჩენასთან ერთად ოქრო (ჩვ. წ. აღ. 6 000) , სპილენძი (ჩვ. წ. აღ. 4 200), ვერცხლი (ჩვ. წ. აღ. 4 000) საიუველირო საქმიანობაც სწრაფად იწყებს განვითარებას. ლითონების კლასიფიკაციისთვის იყენებენ ტერმინებს : ფერადი და შავი, კეთილშობილი (ძვირფასი) და არაკეთილშობილი (არაძვირფასი) ლითონები. შავი ლითონები შეიცავენ რკინას, ხოლო ფერადი - არა. როგორც წესი საიუველირო ნაკეთობებს ამზადებენ ფერადი ლითონებისგან, გამონაკლისია უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული ნაკეთობები. კეთილშობილ და არაკეთილშობილ ლითონებს შორის მთავარ განსხვავებას წარმოადგენს, ძვირფასი ლითონების იშვიათობა და ფასი. კეთილშობილი ლითონებია : ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები - რუთენიუმი, როდიუმი, პალადიუმი, ოსმიუმი და ირიდიუმი. ძვირფას ლითონებს ახასიათებთ მაღალი პლასტიკურობა, სიმტკიცე დაჟანგვის მიმართ და ბრწყინვალეობა.

დღეისთვის ცნობილია 86 ლითონი, მაგრამ ყველა მათგანი საიუველირო საქმეში ბუნებრივია არ გამოიყენება. გაგაცნობთ საიუველირო ინდუსტრიაში ყველაზე პოპულარულ ლითონებს.

ოქრო - ყველაზე პოპულარული კეთილშობილი ლითონი დედამიწაზე, პოპულარული თავისი იშვიათობის და არაჩვეულებრივი ბრწყინვალეობის გამო. სუფთა ოქრო რბილი ლითონია, ამიტომ საიუველირო ნაკეთობების დასამზადებლად მას შენადნობების სახით ურევენ ვერცხლს, სპილენძს და თუთიას. მათი შემცველობა განსაზღვრავს ოქროს სინჯს, რომელიც კარატებში იზომება, ქვემოთ მითითებულია სუფთა ოქროს პროცენტული შემცველობა სინჯების მიხედვით :

- 24 Karat:** 99.9% ოქრო
- 22 Karat:** 91.7% ოქრო
- 18 Karat:** 75% ოქრო
- 14 Karat:** 58.3% ოქრო
- 12 Karat:** 50% ოქრო
- 10 Karat:** 41.7% ოქრო

ვერცხლი - ძალიან პოპულარული ლითონია, ოქროს მსგავსად, საიუველირო ინდუსტრიაში. ვერცხლი რბილი ლითონია და საიუველირო ნაკეთობების დასამზადებლად, მასაც ურევენ შენადნობის სახით სპილენძს, რაც მის სინჯს განსაზღვრავს. სუფთა ვერცხლისგან (ვერცხლის შემცველობის სიწმინდე .999) როგორც წესი ნაკეთობებს არ ამზადებენ, რადგან ლითონის სირბილის გამო

არაპრაქტიკულია. სტერლინგურ ვერცხლში -- ვერცხლის შემცველობა 92,5 % , ხოლო სხვა ლითონის (როგორც წესი სპილენძის) 7,5 % - ია. როგორც წესი იუველირები ვერცხლის სამაჯურების, ბეჭდების და ყელსაბამების დასამზადებლად სტერლინგურ ვერცხლს იყენებენ.

პლატინა - ვერცხლისფერი, თეთრი იშვიათი ლითონია და ოქროზე გაცილებით უფრო ძვირფასია. მიუხედავად მაღალი ფასისა, პლატინისგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობები სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება, განსაკუთრებით პლატინისგან დამზადებული საქორწინო ბეჭდები. პლატინას, როგორც სამშვენისს ძველი ეგვიპტელები იყენებდნენ, თუმცა როგორც ლითონი „ პლატინა „ აღმოჩენილ იქნა მე-18 საუკუნეში ესპანელი მეზახტეების მიერ კოლუმბიაში (სამხრეთ ამერიკა). საიუველირო ნაკეთობების დასამზადებლად იყენებენ მინიმუმ 95 % სიწმინდის პლატინას და ნაკეთობას დამღავენ „PLAT“, ხოლო პლატინის შემცველი შენადნობისგან დამზადებულ ნაკეთობას -- "IRIDPLAT".

პალადიუმი - იშვიათი მოვერცხლისფრო-თეთრი ლითონი პლატინის ჯგუფის ლითონებიდან.

როდიუმი - იშვიათი ვერცხლისფერი-თეთრი ლითონი პლატინის ჯგუფის ლითონებიდან. როდიუმი ყველაზე უფრო ძვირადღირებული ძვირფასი ლითონია.

ტიტანი - ვერცხლისფერი - თეთრი ლითონი. ტიტანი ყველაზე უფრო მტკიცე ლითონია დედამიწაზე, სამჯერ უფრო მტკიცეა ვიდრე ფოლადი, მაგრამ ოქროს, ვერცხლთან და პლატინასთან შედარებით გაცილებით მსუბუქია.

ვოლფრამი - სერი-ფოლადისფერი ლითონი, რომელსაც ახასიათებს მაღალი სიმტკიცე და დნობის მაღალი ტემპერატურა, მისგან ამზადებენ ბეჭდებს, რომლებიც არ იკაწრება.

სპილენძი - მოწითალო-მოყავისფრო ლითონი, რომელსაც ყველაზე მასიურად იყენებენ საიუველირო ნაკეთობების დასამზადებლად. სპილენძი არის ძირითადი შენადნობი ძვირფას ლითონებთან. ის საკმაოდ რბილია და კარგი სითბო და ელექტრო გამტარია, ასევე ძალიან მოქნილი და ჭედადი.

ლატუნი - სპილენძის და თუთიის შენადნობი, ოქროსფერი ლითონი.

ნიკელი - თეთრი ფერის ლითონი, რომელიც ძალიან გავს ვერცხლს. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია.

უჟანგავი ფოლადი - მტკიცე ფოლადი, რომელიც ხშირად გამოიყენება საათის კორპუსების, ბეჭდების ან სამაჯურების დასამზადებლად.

შენადნობი - მიიღება ორი ან უფრო მეტი ლითონის შედნობით სიმტკიცის , ელასტიურობის, დრეკადობის და გარეგნული ელფერის შესაცვლელად. სპილენძი,

ვერცხლი, თუთია, ნიკელი და ა.შ. ლითონები ხშირად გამოიყენება როგორც მალეგირებელი ელემენტები შენადნობებში.

კერამიკული კარბიდი - შედარებით ახალი მასალაა საიუველირო ინდუსტრიაში. ის ძალიან მტკიცეა და ფაქტიურად შეუძლებელია მისი გაკაწვრა. სხვა მასალასთან (მაგ. ვოლფრამთან) კომბინაციაში , კერამიკული საიუველირო ნაკეთობები წარმოადგენს აქტიური ადამიანისათვის იდეალურ არჩევანს.

კობალტ ქრომი - ეს არის მასალა, რისგანაც მზადდება საავიაციო შიგაწვის ძრავები, ბუნებრივია ის უჟანგავ ფოლადზე უფრო მტკიცეა და ძნელად იკაწრება.

სამკაულების ძვირფასი მეტალით დაფარვა

სამკაულების ზედაპირის ძვირფასი მეტალებით დაფარვას აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა: მატულობს კოროზიისადმი მდგრადობა, ნივთები დეკორატიულად უფრო მიმზიდველია, იზრდება ნაკეთობის სიმტკიცე, სამკაულები უფრო მეტად ბრწყინავენ.

მოოქროვილი - სამკაულების ლითონის ზედაპირის (ყველაზე ხშირად ვერცხლის ან სპილენძის) დაფარვა ხდება ოქროს ძალიან თხელი 0,175 მიკრონი ფენით (დაახლოებით **7 / 1000000 ths of an inch**) ქიმიური ან ელექტროქიმიური (ელექტრო - გალვანური) მეთოდით.

მოვერცხლილი - სუფთა ვერცხლი ბრწყინვალე თეთრი ფერის მეტალია. ნივთების ვერცხლით დაფარვას მე - 18 საუკუნიდან იყენებენ. სამკაულების ლითონის ზედაპირს ამჟამად ელექტროლიზის მეთოდით ვერცხლის თხელი ფენით ფარავენ

როდიუმით დაფარული - სამკაულების ლითონის (ძირითადად ვერცხლის ან სპილენძის) ზედაპირს როდიუმის (Rhodium) თხელი ფენით ფარავენ. როგორც ხანგრძლივმა კვლევებმა და ტესტირებებმა აჩვენა, როდიუმი არა მარტო ანიჭებს ნაკეთობას ბრწყინვალეობას , არამედ იგი კარგი სიმტკიცითაც გამოირჩევა. როდიუმით დაფარული სამკაული პირვანდელ სილამაზეს და ბრწყინვალეობას თეთრი ოქროთი დაფარულ ნაკეთობებზე დიდხანს ინარჩუნებს.

მომინანქრებული, ემალთ დაფარული - მინანქარი (ემალი) ეს არის შუშის სახეობა, რომელიც მაღალ ტემპერატურაზე (დაახლოებით 800 გრადუსი ცელსიუსი) მიდუღებულია სამკაულის ლითონის ზედაპირზე. მომინანქრება სამკაულებს უნიკალურ ელფერს სძენს. სამკაულების მომინანქრება სრულდება ძირითადად ხელით და მოითხოვს იუველირისგან მოთმინებას და მტკიცე ნებისყოფას.



როგორ შევინახოთ სამკაულები

ყველა ქალბატონს უყვარს თავისი სამკაულები, ცდილობს ჰქონდეს რაც შეიძლება მრავალფეროვანი კოლექცია. ბიჟუტერიას ლიდერი პოზიცია უკავია გაყიდვების მხრივ მთელს მსოფლიოში, რადგან ნახევრადძვირფასი და არაძვირფასი ლითონისგან დამზადებული სამკაულები საკმაოდ მიმზიდველი და რაც მთავარია ხელმისაწვდომია.

სასურველი სამკაულების კოლექციის შეგროვებასთან ერთად, სასურველია ვიზრუნოთ მათ სწორად და ფაქიზად შენახვაზეც, რომ მიმზიდველი იერსახე და ბრწყინვალეობა დიდხანს შეინარჩუნონ. პირველ რიგში სასტიკად აკრძალულია ყველა სამკაულის (ბიჟუტერიის) ერთად ერთ სკივრში, ყუთში ან უჯრაში ჩაყრა. ამ დროს სასურველი ნივთის მოძებნა რთულია და თან დიდია ალბათობა, რომ სამკაულები გაიკაწროს, ქვეები მოძვრეს, გატყდეს, ლითონის ზედაპირი დალაქავდეს. სასურველია სამკაულები შეინახოთ ცალ-ცალკე ნაჭრის ტომსიკებში (იდეალური ვარიანტი), ან სამკაულების სკივრის სხვა და სხვა განყოფილებებში და სამკაულების ყუთის ცალ-ცალკე სექციებში.



როგორ გავწმინდოთ სამკაულები

ინტერნეტის საძიებო სისტემაში სამკაულების მოვლას ან გასუფთავებას თუ ჩავწერთ, აღმოვაჩინოთ ასამდე განსხვავებულ მეთოდს -- დაწყებული კბილის პასტით ბრილიანტების გაპრიალებით, ლუდიით და კეტჩუპით ოქროს გაწმენდით დამთავრებული. რა თქმა უნდა თქვენს საყვარელ სამკაულებს ლუდში საჭყუმპალაოდ არ გაიმეტებთ, ამიტომ გთავაზობთ პროფესიონალების რჩევებს, რაც თქვენ საიუველირო ნაკეთობების მოვლაში დაგეხმარებათ .

მარგალიტი



„როცა მარგალიტები ძალიან ჭუჭყიანია, გარეცხეთ ისინი 1 ჩაის კოვზი Woolite სარეცხი სითხე გახსნილი 1 ლიტრ წყალში,“ - გირჩევთ Kathy Higginbotham (Silpada Designs - ის ხარისხის კონტროლის დირექტორი).

„ჩაუშვით ისინი 10 - 15 წამით, გაწმინდეთ რბილი ბამბის ქსოვილით და დადეთ რომ გაშრეს. შეინახეთ ისინი მხოლოდ ბამბის ქსოვილის ტომსიკაში, არასდროს პლასტიკატში და სხვა ნაკეთობებისგან ცალკე. მარგალიტებმა რომ თავიანთი ბუნებრივი ბრწყინვალეობა შეინარჩუნონ, გეკეთოთ ხშირად. ისინი გაპრიალდება თქვენი სხეულისგან გამოყოფილი ბუნებრივი ცხიმით. როცა მარგალიტების სამკაულს მოიხსნით გაწმინდეთ მშრალი ბამბის ქსოვილით.

ბრილიანტი

„ ბრილიანტების გასუფთავების საუკეთესო საშუალებაა მათი გაწმენდა თბილი საპნიანი წყლით და რბილი ჯაგრისით ან ძველი კბილის ჯაგრისით „ - გირჩევთ Loretta Castoro (vice president and international jewelry buyer for Jewelry Television) - და გაწმინდეთ კარგად რბილი ქსოვილით. თქვენ ალბათ ყური მოგიკრავთ, რომ კბილის პასტით შესაძლებელია ბრილიანტის გაწმენდა-გაპრიალება, ეს არ არის კარგი იდეა - ამბობს Loretta Castoro , „ კბილის პასტა ალმასს ვერაფერს დაუშავებს,

სამაგიეროდ შეიძლება დააზიანოს ლითონი რაშიც ბრილიანტია ჩასმული, მაგ. ვერცხლი, ასე რომ ეს მეთოდი რეკომენდებული არ არის”.

ოქრო

ყოველთვის მოიხსენით ოქროს სამკაულები შხაპის მიღების ან სახლის დალაგების დროს, რადგან საპონი და ქიმიურმა ნივთიერებები ოქროს ზედაპირზე წარმოქმნიან თხელ აპკს, რაც აჭუჭყიანებს ოქროს და მის გახუნებას უწყობს ხელს - გვირჩევს Castoro. ჭურჭლის რბილი სარეცხი სითხის რამდენიმე წვეთი გახსენით თბილ წყალში და გაწმინდეთ ოქროს სამკაულები რბილი კბილის ჯაგრისით. თუ სამკაულები გაფერმკრთალებულია, მაშინ რამდენიმე წვეთი ნიშადურის სპირტი შეურიეთ საპნიან წყალს და კარგად გაწმინდეთ რბილი კბილის ჯაგრისით. შემდეგ გაავლეთ თბილ წყალში და გააშრეთ.

გახსოვდეთ ქლორიანი წყლით გარეცხვა ოქროს სამკაულების არ არის რეკომენდებული, ქლორი ცხელი წყლის აბაზანების დროს აზიანებს და აფერმკრთალებს თქვენს ოქროს სამკაულებს - გვირჩევს Castoro.

სუფთა ვერცხლი

„ვერცხლი რბილი ლითონია, რომელიც იოლად იკაწრება -- ამბობს Kathy Higginbotham - ვერცხლის ნაკეთობის გახეხვა ან გაწმენდა უხეში ქსოვილით დააზიანებს მის ზედაპირს. Kathy გვირჩევს გამოვიყენოთ რბილი ქსოვილი ან ძალიან რბილი ღრუბელი ვერცხლის ზედაპირის გასაპრიალებლად და სიფერმკრთალის გასაქრობად.

საიუველირო ნაკეთობები რელიეფური ზედაპირით

წვრილი ლატუნის საწმენდი ფუნჯი, რომელიც ბევრ მაღაზიაში იყიდება, საპნიანი წყლით კარგად ასუფთავებს 14 K ოქროსგან დამზადებულ რელიეფურ ზედაპირიან ნაკეთობებს - გვირჩევს იუველირი Jessica Hicks. ჯაგრისის წვრილი ბეწვები კარგად წმენდს რელიეფურ ზედაპირს და ანიჭებს ნაკეთობას სასიამოვნო ბზინვარებას. რთული კონსტრუქციის ვერცხლის სამკაულების გასაწმენდათ გამოიყენეთ სპეციალური ვერცხლის საწმენდი პასტა და გააპრიალეთ რბილი, სუფთა ქსოვილით.

